დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი № 2

ქ. დმანისი 24 თებერვალი 2022 წელი

სხდომის თავმჯდომარე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომას ესწრებოდა:

1. პაატა ყულიაშვილი
2. რამიზ რამაზანოვი
3. ოლეგი გოშუანი
4 .აზერ ალიევი
5. ილია სარსევანიძე
6. სოფიო ასლამაზაშვილი
7. ლერი ბერუაშვილი
8. მურაზი აბრამიშვილი
9. მაკა ასლანიშვილი
10. მაკა ოკმელაშვილი
11. შალვა ღამბარაშვილი
12. მიხეილ დაუთაშვილი
13. შოთა აკობაშვილი
14. შახინ კოიალოვი
15. სტამბულ ისაევი
16. გამლეტ ისმაილოვი
17. ემილ იბრაგიმოვი
18. ლეილა მიქიანი
19. მერაბი ფოლადაშვილი
20. თეიმურაზ აფრასიძე
21. ნატიგ ოვჩიევი
22. გუმბათ იუსუბოვი
23. გუსეი ისმაილოვი
24. თორნიკე ნინაშვილი

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა : დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო განყოფილების უფროსი თემურ ტატულაშვილი, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი ლევან მანთაშაშვილი, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნატო სამადაშვილი ,
აპარატის უფროსი თინათინ ციხელაშვილი.
სხდომის მდივანი: ლომა გადრანი

სხდომას არ ესწრებოდნენ:

1. კახა დევნოზაშვილი
2. შახინ გასანოვი
3. კახა ოქრიაშვილი
4. კახა დევნოზაშვილი
5. მაია ციხელაშვილი
6. გურანდა ქოჩორაძე

სხდომა დაიწყო: 12. 00
სხდომა დასრულდა: 12. 35

დღის წესრიგი

1	**დადგენილება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 ნოემბრის N42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი:	**თ. ტატულაშვილი**

2	**დადგენილება:** დმანისის მუნიციპალიტეტში დმანისის მუნიციპალიტეტის თვითმართველობისა და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ , დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის №3 დადგენილების ცვლილების თაობაზე
მომხსენებელი:	**თ. ციხელაშვილი**

3	**განკარგულება:** პირის დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის“ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების თაობაზე
მომხსენებელი:	**მ. ასლანიშვილი**

4	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' თავმჯდომარის მოადგილეების არჩევის შესახებ
მომხსენებელი:	**მ. ასლანიშვილი**

5	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ
მომხსენებელი:	**მ. ასლანიშვილი**

6	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,, ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს '' თავმჯდომარის მოადგილეების არჩევის შესახებ
მომხსენებელი:	**მ. ასლანიშვილი**

7	**განკარგულება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 20 იანვრის №2 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი:	**მ. ასლანიშვილი**

8	**განკარგულება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად საწვავის ხარჯის ყოველთვიური ლიმიტის განსაზღვრის შესახებ''დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 ივლისის №51 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი:	**ს. ასლამაზაშვილი**

9	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების (არასაცხოვრებელი ფართი) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ
მომხსენებელი:	**ნ. სამადაშვილი**

10	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების 2022 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი:	**ნ. სამადაშვილი**

11	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების ააიპ ,,დმანისის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახურისათვის '' უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ (ტრაქტორები , გუთანი)

მომხსენებელი:	**ნ. სამადაშვილი**

12	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების ააიპ ,,დმანისის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახურისათვის '' უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ (ალუმინის კაბელი)

მომხსენებელი:	**ნ. სამადაშვილი**

13	**განკარგულება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტში 2022 წელს ადგილობრივი მიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის №გ-109-109220252 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი:	**ლ. მანთაშაშვილი**

1.მომხსენებელი : თემურ ტატულაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 ნოემბრის N42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის N51 განკარგულების შესაბამისად „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით 2021 წლის დეკემბრის თვის მომსახურებისათვის 48059 ლარი,რაც შესაბამისად ასახული იქნა გადასახდელების ორგანიზაციულ კოდში 0403 საჯარო სკოლების დაფინანსების „საქონელი და მომსახურების მუხლში და აღნიშნული მუხლი 134,0 ათასი ლარის ნაცვლად, განისაზღვრა 182,1 ათასი ლარის ოდენობით.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის N 277 განკარგულების საფუძველზე „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამთკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N654 დადგენილების შესაბამისად დმანისის მუნიციპალიტეტს გამოეყო 686,0 ათასი ლარი,რაც შესაბამისად ასახული იქნა გადასახდელების ორგანიზაციულ კოდში 0206 სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ღონისძიებების“არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში და აღნიშნული მუხლი 185,3 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვრა 871,3 ათასი ლარის ოდენობით.

მე-19 მუხლით დამტკიცებული ორგანიზაციული კოდი 020501 „საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა- რეაბილიტაციის“ არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში განსაზღვრული სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან მისაღები თანხები 1620,6 ათასი ლარი გადატანილი იქნეს იმავე კოდის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში და საკუთარი შემოსავლებით გათვალისწინებული 900,9 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 2521,5 ათასი ლარის ოდენობით.

მე-19 მუხლით დამტკიცებული ორგანიზაციული კოდი 010101 „მუნიციპალიტეტის საკრებულოს“ შრომის ანაზღაურების მუხლით განსაზღვრული 493,1 ათასი ლარის ნაცვლად,განისაზღვროს 643,0 ათასი ლარის ოდენობით ანუ ზრდამ შეადგინა 149,9 ათასი ლარი,რაც გამოწვეულია საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების საშტატო ერთეულების ზრდის შედეგად. გარდა აღნიშნულისა „საქონელი და მომსახურების“ მუხლი შემცირდა 30,0 ათასი ლარით და აღნიშნული თანხა გადატანილი იქნა „სხვა ხარჯების“ მუხლში, რომლის შემდეგ ამ მუხლის

ოდენობა განისაზღვრა 108,3 ათასი ლარის ოდენობით,ხოლო საქონელი და მომსახურების მუხლი 157,3 ათასი ლარით.

მე-19 მუხლით დამტკიცებული ორგანიზაციული კოდი 010102 „მერიის“ შრომის ანაზღაურების მუხლით განსაზღვრული 1895,7 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვრა 1920,0 ათასი ლარით,ანუ ზრდამ შეადგინა 34,3 ათასი ლარით,რაც გამოწვეულია ორი საშტატო ერთეულის ზრდის შედეგად.გარდა აღნიშნულისა არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 250,0 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვრა 352,0 ათასი ლარის ოდენობით,ანუ ზრდამ შეადგინა 102,0 ათასი ლარი,რომელიც მიმართული იქნება მოძველებული ავტოპარკის განახლების მიზნით.

მე-19 მუხლით დამტკიცებული ორგანიზაციული კოდი020102 „გზების მშენებლობა-რეაბილიტაციის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 2172,8 ათასი ლარის ნაცვლად, განისაზღვროს 1886,6 ათასი ლარით,ანუ შემცირდა 286,2 ათასი ლარის ოდენობით და რომლის ხარჯზეც გაზრდილი იქნა მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის ზემოთ აღნიშნული გადასახდელები.

მე-19 მუხლით დამტკიცებული ორგანიზაციული კოდი 020202 „სასმელი წყლის სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაციის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლიდან გადატანილი იქნეს იმავე კოდის „გრანტის“ მუხლში 2200,0 ათასი ლარი და არაფინანსური

აქტივების ზრდის მუხლი 4916,4 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვრა 2716,4 ათასი ლარის ოდენობით.

მე-19 მუხლით დამტკიცებული ორგანიზაციული კოდი 050201 „ხელოვნებისა და კულტურის ცენტრის“სუბსიდირება 473,6 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვრა 468,6 ათასი ლარის ოდენობით და აღნიშნული სხვაობა 5.0 ათასი ლარი გადატანილი იქნა იმავე კოდში „არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში.

მე-19 მუხლით დამტკიცებული ორგანიზაციული კოდი 050203 „საბიბლიოთეკო სამსახურის“სუბსიდირება 125.0 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვრა 118,0 ათასი ლართ და აღნიშნული სხვაობა 7,0 ათასი ლარი გადატანილი იქნა იმავე კოდში არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში.

მე-19 მუხლით დამტკიცებული ორგანიზაციული კოდი 040101 „სკოლამდელი აღზრდის სამსახურის“ სუბსიდირება 783,8 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვრა 776,3 ათასი ლარის ოდენობით და აღნიშნული სხვაობა 7,5 ათასი ლარი გადატანილი იქნა იმავე კოდში არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში 5,0 ათასი ლარი,ხოლო სოციალური უზრუნველყოფის მუხლში 2,5 ათასი ლარი.

ამრიგად, დმანისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 25497,6 ათასი ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვეს: თ. ნინიაშვილმა გამოთქვა აზრი გრანტის შესახებ.

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მომხრე: 24

წინაღმდეგი:

2.მომხსენებელი : თინათინ ციხელაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტში დმანისის მუნიციპალიტეტის თვითმართველობისა და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ , დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის №3 დადგენილების ცვლილების თაობაზე

აღნიშნული დადგენილების მთავრობის ადმინისტრაციის სამართლებრივი ექსპერტიზის შედეგად, დადგენილების პრეამბულაში დაემატა თვითმართველობის კოდექსის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.გ'' ქვეპუნქტი და სახელმწიფო ქონების შესახებ'' საქართველოს კანონის მე -19 მუხლის მე-6 პუნქტი.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მომხრე: 24

წინაღმდეგი:

3.მომხსენებელი : მაკა ასლანიშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი პირის დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის“ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების თაობაზე

ბიუროს წევრებმა განიხილეს მერიის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი პირის დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის მიერ 2020 წლის დეკემბრიდან 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში. 1 წლის განმავლობაში სულ ფიქსირდება 14 განცხადება, რომელთაგან 7 დადასტურდა, ხოლო 7 არ დადასტურდა.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 24

წინაღმდეგი:

4.მომხსენებელი : მაკა ასლანიშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' თავმჯდომარის მოადგილეების არჩევის შესახებ

ფრაქციის მიერ წარმოდგენილია 2022 წლის 15 თებერვლის სხდომის ოქმი. საკრებულოს შვიდი წევრი გაწევრიანდა ფრაქციაში. ესენი გახლავთ: გუსეინ ისმაილოვი, თორნიკე ნინიაშვილი,

კახა დევნოზაშვილი, მაია ციხელაშვილი, კახა ოქრიაშვილი, გურანდა ქოჩორაძე, გუმბათ იუსუბოვი. თორნიკე ნინიაშვილი და გუმბათ იუსუბოვი აირჩიეს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეებად.

დაადგინეს: ცნობად იქნეს მიღებული განკარგულების პროექტი

მომხრე: 24

წინაღმდეგი:

5.მომხსენებელი : მაკა ასლანიშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ

2022 წლის 4 თებერვალს ჩატარდა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სხდომა. წარმოდგენილია სხდომის ოქმი, რომლის მიხედვითაც საკრებულოს წევრი, მერაბი ფოლადიშვილი,

გაწევრიანდა აღნიშნულ ფრაქციაში და იგი არჩეული იქნა ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილედ.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: ცნობად იქნეს მიღებული განკარგულების პროექტი.

მომხრე: 24

წინაღმდეგი:

6.მომხსენებელი : მაკა ასლანიშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,, ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს '' თავმჯდომარის მოადგილეების არჩევის შესახებ

ცვლილებები განხორციელდა ფრაქციაში„ ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოში“. 2022 წლის 31 იანვარს გაიმართა ფრაქციის სხდომა, ოქმის მიხედვით, საკრებულოს წევრები- ნატიგ ოვჩიევი და ემილ იბრაგიმოვი გაწევრიანდნენ ფრაქციაში და ორივე წევრი არჩეულ იქნა ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილედ.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: ცნობად იქნეს მიღებული განკარგულების პროექტი.

მომხრე: 24

წინაღმდეგი:

7.მომხსენებელი : მაკა ასლანიშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი ,,დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 20 იანვრის №2 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საკრებულოს წევრებმა განიხილეს მერიის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი გაცნობებთ, რომ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 20 იანვრის (№2 08) განკარგულების შესაბამისად, საკრებულოსთან შეთანხმებული იყო (რიგით მეცხრე)-სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სპეციალისტი, ამბულატორიებისა და სტიქიების კოორდინატორის თანმდებობა.

წერილის მიხედვით, რომელიც შემოვიდა სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში, მერია გვთხოვს, რომ (რიგით მეცხრე)-სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სპეციალისტის, ამბულატორიებისა და სტიქიების კოორდინატორის ნაცვლად შევიტანხმოთ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის თანამდებობა, კერძოდ: დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურში-სპეციალისტი პრესასთან, ტელევიზიებთან, სამხარეო ადმინისტრაციასთან, სახელმწიფო უწყებებთან , სხვა ორგანიზაციებთან ურთიერთობის, მუნიციპალიტეტის ოფიციალური გვერდისა და სოციალური ქსელების პიარის საკითხებში.

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
აზრი გამოთქვეს: ლეილა მიქიანმა.
მომხრე: 24
წინაღმდეგი:

8.მომხსენებელი : სოფიო ასლამაზაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი ,,დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად საწვავის ხარჯის ყოველთვიური ლიმიტის განსაზღვრის შესახებ''დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 ივლისის №51 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

2019 წლის 19 ივლისის N51 08 განკარგულებაში შედის ცვლილება რომელიც საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების საწვავებთან არის დაკავშირებული მოგეხსენებათ რომ საწვავი გვაქვს საბარათე სისტემით და რადგან, საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარეებს ემატებათ 5 მოადგილე ვამატებთ 5 საწვავის ბარათს, და სულ არის 17 ბარათი.

აზრი გამოთქვეს: თორნიკე ნინიაშვილმა
დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
მომხრე: 24
წინაღმდეგი:

9. მომხსენებელი: ნატო სამადაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების (არასაცხოვრებელი ფართი) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საკრებულოს წევრებმა განიხილეს მერის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი გადაეცეს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება-

ქ. დმანისში წმინდა ნინოს ქუჩა №41-ში მდებარე შენობა-ნაგებობის (ს.კ.82.01.42.021) პირველ სართულზე, მარჯვენა ფლიგელში მდებარე 50,05კვ.მ, არასაცხოვრებელი ფართი, საქართველოს პარლამენტის აპარატს, საქართველოს პარლამენტის წევრის, უფლებამოსილების ვადით.

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
მომხრე: 24
წინაღმდეგი:

10. მომხსენებელი: ნატო სამადაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების 2022 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ

საკრებულოს წევრებმა განიხილეს მერიის მიერ წარმოდგენილი 2022 წლის 10 თებერვლის №108-10822041137 წერილით წარმოდგენილი 2022 წლის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო

ობიექტების ნუსხა. და გადაწყვიტეს, დანართის რიგითი ნომრები 1,2,3,4,5,6,7,8,9, 10 - ამოღებული იქნას ნუსხიდან, წარმოდგენილი საბაზრო ღირებულების დაკორიქტირების მიზნით, ხოლო დანარჩენი საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა (ავტომანქანები) შეტანილი იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში, (თანდართული).

დასახელება	სახელმწიფო N	გამოშვების წელი	საიდენტიფიკაციო N	ფერი	მდგომარეობა	საბაზრო ღირებულება (ლარში)
NISSAN NAVARA. პიკაპი.	DD-508-VD	2008	AM8504440	თეთრი	გაუმართავი	10,500
TOYOTA HILUX. პიკაპი.	DD-507-VD	2008	AM8509413	თეთრი	გაუმართავი	13,500
VAZ 21214. მაღალი გამავლობის.	DD-509-VD	2007	AM8505467	თეთრი	გაუმართავი	2,100
IVECO 50 C11. სპეციალიზებული.	VLV-747	2002	AV7491108	თეთრი	გაუმართავი	22700
changfeng yangzi flying	DD-503-VD	2011	AM8509198	თეთრი	გამართული	7400
MERCEDES-BENCVITO108DIESEL	LGL463	1999	VSA63819413237321	ლურჯი 7/8	გაუმართავი	2,200

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
მომხრე: 24
წინაღმდეგი:
აზრი გამოთქვეს:
11. **მომხსენებელი: ნატო სამადაშვილმა** საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების ააიპ ,,დმანისის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახურისათვის " უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ (ტრაქტორები , გუთანი)

საკრებულოს წევრებმა განიხილეს მერიის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ააიპ ,,დმანისის მუნიციპალიტეტის კომუნალურ სამსახურს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული სამი ერთეული ,,ბელარუსის'' მარკის ტრაქტორი და გუთნები:

1. ტრაქტორი ,,ბელარუს MT3-82.1" ძარას N0006301, გ/წ2015 საწყისი საბალანსო ღირებულება 49046.8 ლარი, ნარჩენი საბალანსო ღირებულება 9529.0925 ლარი;
2. ტრაქტორი ,,ბელარუს MT3-82.1" ძარას N0006006, გ/წ2015 საწყისი
3. საბალანსო ღირებულება 49046.8 ლარი, ნარჩენი საბალანსო ღირებულება 9529.0925 ლარი;
4. ტრაქტორი ,,ბელარუს MT3-892" ძარას N0006183, გ/წ2015 საწყისი საბალანსო ღირებულება 48428.5500 ლარი, ნარჩენი საბალანსო ღირებულება 9408.99 ლარი;
5. გუთანი სამი სექციური საკიდით - საწყისი საბალანსო ღირებულება 2273.96 ლარი, ნარჩენი საბალანსო ღირებულება 441.795 ლარი;
6. გუთანი სამი სექციური საკიდით - საწყისი საბალანსო ღირებულება 2273.96 ლარი ნარჩენი საბალანსო ღირებულება 441.795 ლარი;
7. გუთანი ოთხი სექციური საკიდით-საწყისი საბალანსო ღირებულება 2728.8133 ლარი, ნარჩენი საბალანსო ღირებულება 1590.5 ლარი;

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
მომხრე: 24
წინაღმდეგი:
აზრი გამოთქვეს:

12. **მომხსენებელი: ნატო სამადაშვილმა** საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების ააიპ ,,დმანისის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახურისათვის ” უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ (ალუმინის კაბელი)

საკრებულოს წევრებმა განიხილეს მერიის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს უსასყიდლოდ, დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ააიპ ,,დმანისის მუნიციპალიტეტის კომუნალურ სამსახურს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ალუმინის კაბელი ABC 2*16 სიპი 500 გრძივი მეტრი, საბალანსო ღირებულებით 1075 (ერთი ათას სამოცდათხუთმეტი) ლარი.

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
მომხრე: 24
წინაღმდეგი:
აზრი გამოთქვეს:

13. **მომხსენებელი: ლევან მანთაშაშვილმა** საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი ,,დმანისის მუნიციპალიტეტში 2022 წელს ადგილობრივი მიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის №გ-109-109220252 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საკრებულოს წევრებმა განიხილეს მერიის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,დმანისის მუნიციპალიტეტში 2022 წელს ადგილობრივი მიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის №გ-109-109220252 განკარგულებაში განსახორციელებელი ცვლილების შესახებ დანართის შესაბამისად. (დანართი თან ერთვის).

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
მომხრე: 24
წინაღმდეგი:
აზრი გამოთქვეს:

სხდომის საკითხების ამოწურვის გამო, სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს სხდომა გამოაცხადა დახურულად.

საკრებულოს თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომის მდივანი: ლომა გადრანი

2022 წელს ადგილობრივი ბიუჯეტით განსახორციელებელი პროექტების ნუსხა (დანართი)				
N	პროექტის დასახელება	კატეგორია	პროექტის ღირებულება	შენიშვნა
1	2	3	4	5
1	სოფ. განთიადის სამუსიკო სკოლის ოთახების რეაბილიტაცია	ადმინისტრაციული შენობები	78203	
2	სოფელ კამარლოში ახალი რეზერვუარის მშენებლობა	წყლები	284616	
3	სოფ.გუგუთის გარე განათების მოწყობა	შენობა ნაგებობები	85769	
4	დმანისის მუნიციპალიტეტის სოფ დიდ დმანისში გადასახედის მოწყობა	სხვა	45577	
5	წმინდა ნინოს ჩიხის N1 საცხოვრებელი კორპუსის სახურავის რეაბილიტაცია	შენობა ნაგებობები	67844	
6	ქ. დმანისში წმ. ნინოს ქუჩა N58-ში მდებარე სარეპეტეციო დარბაზის რეაბილიტაცია	შენობა ნაგებობები	85059	
7	დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ტწუსში მინი სტადიონის რეაბილიტაცია	კეთილმოწყობა	82160	
8	დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადში, მინი სტადიონის რეაბილიტაცია	კეთილმოწყობა	59870	
9	დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ საფარლოში არსებული სპორტული მოედნის რეაბილიტაცია	კეთილმოწყობა	143035	
10	დმანისის მუნიციპალიტეტში სოფ განთიადში ნაგზაურთან მისასვლელი ბილიკის და შემოღობვის მოწყობა	კეთილმოწყობა	23149	
11	რგფ და მთის ფონდის პროექტების თანადაფინანსება	სხვა	360000	
12	2022 წლებში საზედამხედველო/საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	სხვა	228000	
13	პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა	სხვა	300000	
14	2022 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების თანადაფინანსება	სხვა	400000	
15	სტიქიის შედეგად საქართველოს მაღალმთიანი რაიონებიდან დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადმოსახლებული, სოციალურად დაუცველი ოჯახების საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცი	შენობა ნაგებობები	200000	
	ჯამი		2443282	

დმანისის მუნიციპალიტეტში 2019-2020-2021 წლის პროექტების დასრულებისთვის

N	პროექტის დასახელება	კატეგორია	პროექტის ღირებულება	შენიშვნა
1	2	3	4	5
1	დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სიჩქარის შემზღუდავი ბორცვების, საგზაო სარკეების, ჰორიზონტალური მონიშვნის საღებავით და რკინის პარაპეტების მოწყობა, საგზაო ციმციმა და ბეტონის პარაპეტების მოწყობა	გზები	15000	
2	სოფ. გოდაგდაგში სარიტუალო დარბაზის რეაბილიტაცია	შენობა ნაგებობები	36805	გარდამავალი პროექტი, დაიწყო 2020 წელს

3	დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისძირში წყლის სათავე ნაგებობის, შემკრების/რეზერვუარისა და მაგისტრალური ხაზის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა	წყლები	149925	
4	1. დმანისის მუნიციპალიტეტის, სოფელ მთისძირში, საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოს რეაბილიტაცია; 2. სოფელ დაგარახლოში ცენტრალურ გზაზე, მოსაცდელის მოწყობა; 3. სოფელ განახლებაში, ცენტრალურ გზაზე, მოსაცდელის მოწყობა; 4. სოფელ განთიადში, სოფელ ჯავახის ჩასახვევში, ცენტრალურ გზაზე მოსაცდელის მოწყობა; 5. სოფელ განთიადში, საბავშვო ბაღთან, ცენტრალურ გზაზე მოსაცდელის მოწყობა; 6. სოფელ ველისპირში, ცენტრალურ გზაზე, მოსაცდელის მოწყობა; 7. სოფელ ვარდისუბანში, ცენტრალურ გზაზე, მოსაცდელის მოწყობა; 8. სოფელ მამულოში ცენტრალურ გზაზე მოსაცდელის	შენობა ნაგებობა	39544	
5	სოფელ ირგანჩაის სამარაგო რეზერვუარის მოწყობა	წყლები	102500	
6	26 მაისის ქუჩაზე არსებული სკვერის რეაბილიტაცია	კეთილმოწყობა	85911	
7	,,დმანისში გორგასლის ქუჩა N1 ის მიმდებარედ სკვერის მოწყობ	კეთილმოწყობა	91920	
8	სოფ.ზემო კარაბულახის სკვერისა და სპორტული მოედნის მოწყობა	კეთილმოწყობა	107611	
9	სოფ.ამამლოს სკვერისა და სპორტული მოედნის მოწყობა	კეთილმოწყობა	117777	
10	სოფელ ირგანჩაის სკვერისა და სპორტული მოედნის მოწყობ	კეთილმოწყობა	177788	
11	ქ.დმანისი ჭუბერის III ჩიხი, N4ა სკვერის რეაბილიტაცია	კეთილმოწყობა	222245	
12	დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ოროზმანში სპორტული დარბაზის რეაბილიტაციისა და გარე სანიტარული კვანძის მომწყობის სამუშაოები.	შენობა ნაგებობები	72900	
13	1. დმანისის მუნიციპალიტეტში, სოფელ მამულოს სარიტუალო დარბაზის ეზოში დამხმარე ნაგებობისა და საპირფარეშოს მოწყობა 2. სოფ აზკაკლიანში სარიტუალო დარბაზთან საპირფარეშოს მოწყობის. 3. დმანისის მუნიციპალიტეტში შიდა სახელმწიფო გზასთან უსახური შენობების რეაბილიტაციის სამუშაოები. 4. ქ.დმანისში 9 აპრილის ჩიხი ქ.N4 -ში მდებარე ,,ააიპ დმანისის კომუნალური სამსახურის'' სპეც მანქანაებისთვის ე.წ ფარდულის მოწყობის სამუშაოები. 5. გომარეთის ადმინისტრაციული შენობის ეზოს შემოღობვის სამუშაოები. 8. იფნარის ადმინისტრაციული შენობის ეზოს შემოღობვის სამუშაოები	შენობა ნაგებობები	76500	
14	რგფ პროექტების თანადაფინანსება 2585 მთავრობის განკარგულება	სხვა	260981	
15	რგფ პროექტების თანადაფინანსება 136 მთავრობის განკარგულება	სხვა	281314	
16	რგფ პროექტების თანადაფინანსება 2630 მთავრობის განკარგულება (ამამლოს სანიაღვრე არხი)	სხვა	4339	
17	პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა	სხვა	30320	
18	2021 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების თანადაფინანსება	სხვა	9656	
19	2019-2020-2021 წლებში საზედამხედველო/საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	სხვა	126919	
			2009955	

დანართი №1

დმანისის მუნიციპალიტეტში დმანისის თვითმმართველობის და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი

1. დმანისის მუნიციპალიტეტში დმანისის თვითმმართველობის და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი (შემდგომში – მიწის ნორმატიული ფასი) გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

CN = IMG * ITL * C * K, სადაც:

ა) CN არის ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი;

ბ) IMG არის ქ. დმანისის მაკრომდებარეობის ინდექსი, რომელიც უდრის 0,23-ს;

გ) ITL არის ლოკალური ტერიტორიული ინდექსი, რომელიც უდრის 1,0-ს;

დ) C არის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე დადგენილი საბაზისო განაკვეთი და მისი მნიშვნელობა უდრის 0,24 ლარს;

ე) K არის მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი და მისი მნიშვნელობა უდრის 30-ს.

2. პირველი პუნქტის მიხედვით, ქ. დმანისში მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს შემდეგი სახით:

3.

IMG	ITL	C	K	CN (ლარი)
0,23	1,0	0,24	30	1,656

4. დმანისის მუნიციპალიტეტის დანარჩენ ტერიტორიებზე მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქ.დმანისისათვის დადგენილი ფასის 50%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 0.828 ლარს.